სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

06 ნოემბერი 2025

N 695/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

შპს „ნემერა“-ზე „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვის გაცემის შესახებ“ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2025 წლის 4 სექტემბრის N477/ს ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის N63-ე მუხლისა და შპს “ნემერას“-ს 2025 წლის 22 ოქტომბრის N10386 განცხადების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „შპს „ნემერა“-ზე „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვის გაცემის შესახებ“ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2025 წლის 4 სექტემბრის N477/ს ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. გაიცეს შპს „ნემერა“-ზე (საიდენტიფიკაციო კოდი: 205206588) „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის და ტრანზიტის ნებართვა შემდეგი ნივთიერებების იმპორტისათვის შესაბამისი ოდენობით:

- 1,1,1,2 ტეტრაფთორეთანი (HFC-134a) – 7 600 კგ;
- R410A (HFC-32/HFC-125) – 12 360.9კგ;
- დიფთორმეთანი (HFC-32) – 5 000კგ;
- R449A (HFC-32/HFC-125/ HFC-134a/HFO-1234YF) – 5.5 კგ;
- R448A (HFC-32/HFC-125/ HFC-134a/HFO-1234YF/HFO-1234ZE) – 2.8 კგ;
- ქლორდიფტორმეთანი (HCFC-22) – 1.6 კგ.

2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „ნემერა“-ს;

3. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ნემერა“-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/695-21-4-202511061549

კვალიფიცირებული ელექტრონული ხელმოწერა/ QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE